ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**გ-49.49213229**
თარიღი:**18/11/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 109

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-სათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლეხიდრისთავში მდებარე უძრავი ქონების (ბიბლიოთეკის შენობა, საკ.კოდი N29.02.31.031) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482130564; 01/11/2021) წერილი, რომელშიც ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ მმართველის წერილის საფუძველზე ითხოვს თანხმობას მითითებულ ა(ა)იპ–ს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლეხიდრისთავში მდებარე უძრავი ქონება - ბიბლიოთეკის შენობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-სათვის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლეხიდრისთავში მდებარე უძრავი ქონების (ბიბლიოთეკის შენობა, საკ.კოდი N29.02.31.031) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ,

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი